ახალი განათლება

2015 წელი, 23 - 29 აპრილი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№15 (689) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

პირველკლასელთა რეგისტრაცია იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს პირველკლასელთა რეგისტრაციას 2015-2016 სასწავლო წლისათვის

რეგისტრაცია განხორციელდება 3 ეტაპად.

I ეტაპი – 2015 წლის 23 აპრილი-4 მაისი.

რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში. რეგისტრირდება ის მოსწავლე:

- რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;
- რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია;
- რომლის ოჯახიდანაც, ერთდროულად, ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

პირველ ეტაპზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება სკოლაში, **2015 წლის 5 მაისიდან 13 მაისის ჩათვლით**.

II ეტაპი – საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია – **2015 წლის 15 მაისი-9 ივნისი.**

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში II ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება **2015 წლის 11 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით.**

I და II ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

III ეტაპი – 2015 წლის 22 ივნისი-2015 წლის 11 ივლისი. რეგისტრაცია განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლების) ბაზაზე, II ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე მხოლოდ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ.

შენიშვნა:

რეგისტრაციას გაივლიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2015 წლის გამოცდების ჩატარების განრიგი

2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი:

2-3 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ., მეორე სესია – 14:00 სთ.) – ქართული ენა და ლიტერატურა;
6-7 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ., მეორე სესია 14:00 სთ.) – ზოგადი უნარები;
8 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ., მეორე სესია 14:00 სთ.) – ინგლისური ენა;
9 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – ინგლისური ენა;
9 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – გერმანული ენა;
10 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – რუსული ენა;
10 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – ფრანგული ენა;
13 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ., მეორე სესია 14:00 სთ.) – გეოგრაფია;
14 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ., მეორე სესია 14:00 სთ.) – ისტორია;
15 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ., მეორე სესია 15:00 სთ.) – მათემატიკა;
16 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – ფიზიკა;
17 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – ლიტერატურა;
20 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ) – სამოქალაქო განათლება.
21 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – ბიოლოგია;
21 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
22 ივლისი (პირველი სესია – 8:00 სთ.) – ქიმია.

2015 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგი:

9 ივლისი (მეორე სესია – 14:00 სთ.) – წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი: A, C);
10 ივლისი (მეორე სესია – 14:00 სთ.) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი: A, C);
16 ივლისი (მეორე სესია – 15:00 სთ.) – წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი – B);
17 ივლისი (მეორე სესია – 15:00 სთ.) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი – B).

2015 წლის სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარების განრიგი:

20 ივლისი (მეორე სესია – 15:00 სთ.) – სტუდენტთა საგრანტო კონკურსი.

ინფორმაცია

ამერიკის მთავრობის დახმარება სპეციალიზებულ სკოლას

გვერდი 2

პედაგოგთა დასახმარებლად

პორტფოლიო, როგორც შეფასების ეფექტური მეთოდი

ინგლისური ენა

გვერდი 4

ИНТЕГРАЦИЯ РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ РЕЧЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ НА УРОКАХ РКИ

რუსული ენა

გვერდი 5

სასკოლო აქტივობა

სასწავლო პროექტი – მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის საუკეთესო საშუალება

გვერდი 6

ინფორმაცია

გორში ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი გაიხსნა

ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, ამჯერად, ქალაქ გორში გახსნა. ანალოგიური ცენტრები უკვე ფუნქციონირებს თბილისში, ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში.

ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი 6-დან 18 წლამდე ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს უფასო, კვალიფიციურ, ფსიქოსოციალურ მომსახურებას სთავაზობს.

ფსიქოლოგიური ცენტრი წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ გუნდს, რომელშიც დასაქმებული არიან კონკურსის შედეგად შერჩეული მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ბავშვთა ფსიქიატრები.

მოზარდში ქცევითი და ემოციური პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორებით. ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა რამდენიმე მიმართულებით მუშაობას მოიცავს: ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მიერ ფსიქიკური, ქცევითი და ემოციური პრობლემის იდენტიფიკაციას, ფსიქოკორექციას, ფსიქოთერაპიას და, პარალელურად, სოციალური მუშაკის მიერ გარე ფაქტორების დადგენას და მოგვარებას. ცენტრის მულტიდისციპლინარული ჯგუფი მუშაობს ბავშვებთან, მათ მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში – მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან.

ფსიქოლოგიურ ცენტრში მოსწავლეთა გადმომისამართება ხდება სკოლის ადმინისტრაციის, მანდატურისა და მასწავლებლის მიერ, მშობლის თანხმობით შევსებული რეფერალის საფუძველზე. ცენტრში მომართვიანობა თვითდინებითაც ხორციელდება.

სამომავლოდ, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის გახსნა რუსთავსა და ზუგდიდში იგეგმება.

თამარ სანიკიძე: *დღეს ქალაქ გორში გავხსენით ოფისი, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ის მომსახურება, რომელსაც სამინისტრო სთავაზობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. ფსიქოლოგიურ ცენტრში, რომელიც სკოლებს მოემსახურება, არიან პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები, სოცმუშაკები, ასე ვთქვათ, დამხმარე პერსონალი და სერვისები, რომლებიც სკოლას სჭირდება, რომ საგანმანათლებლო პროცესი სრულყოფილად წარიმართოს.*

ბევრი ოჯახისთვის ფსიქოლოგის მომსახურება და ფსიქოლოგიური თერაპიის მთლიანი კურსის გავლა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ამიტომ, ვფიქრობ, ხელმისაწვდომობის მხრივ, უფასო სერვისი კვალიფიციური მომსახურების მიღების საუკეთესო შესაძლებლობაა როგორც ბავშვისთვის, ასევე მასწავლებლისთვის და მშობლისთვის. მათთვის ოფისი ყოველთვის ღია იქნება.

წლის ბოლომდე ორი მსგავსი კომპლექსის გახსნას ვგეგმავთ სხვადასხვა რეგიონში. ყველა რაიონს ექნება იმის საშუალება, რომ მაღალი დონის მომსახურება მიიღონ. ცენტრის თითოეული თანამშრომელი შერჩეულია ძალიან მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

ლევან ზარდალიშვილი, მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე: *ფსიქოლოგიური ცენტრები დახმარებას უწევენ ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს. საუბარია სკოლის ასაკზე – ექვსიდან თვრამეტ წლამდე ყველა ბავშვზე. არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს კერძო თუ სახელმწიფო სკოლა, ცენტრების მომსახურება ყველასთვის უფასოა. ვეხმარებით, ასევე, მშობლებს და პედაგოგებსაც, ვუწევთ კონსულტაციებს. საჭიროების შემთხვევაში, ვეხმარებით მანდატურებს.*

ამერიკის მთავრობის დახმარება სპეციალიზებულ სკოლას

სმენადაქვეითებული და სმენის არმქონე მოსწავლეთა 203-ე სკოლა-პანსიონისთვის განხორციელებული პროექტის დასრულების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, ამერიკის ელჩი საქართველოში **რიჩარდ ნორლანდი** და საელჩოს სხვა წარმომადგენლები.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ევროპული სარდლობის მიერ დაფინანსებული ჰუმანიტარული პროექტი ეხმაურება საქართველოს მთავრობის ძალისხმევას – სათანადო პირობები შეუქმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, კერძოდ კი, ხელს უწყობს განათლების სამინისტროს 2014 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტის განხორციელებას – სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის სასწავლო პირობების გაუმჯობესებას.

აღნიშნული პროექტი სკოლისთვის სპეციალური ზარების („ციმციმების“) დამონტაჟებას მოიცავს, რაც ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია შენობის ადაპტირებისთვის სმენადაქვეითებული და სმენის არმქონე მოსწავლეებისთვის.

აშშ-ს ევროპულმა სარდლობამ დააფინანსა სკოლისთვის 28 000 აშშ დოლარის ღირებულების ოთხასამდე ერთეული ავეჯისა და სასწავლო ინვენტარის, აგრეთვე, ორი მიკროავტობუსის გადაცემაც, რომელთა ღირებულება (ორივე ერთად) 49 000 აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული პროექტები, რომლებიც აშშ-ს საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის მიერ განხორციელდა, ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას 163 სმენადაქვეითებული ბავშვისთვის და მუშაობას გაუადვილებს სკოლის 127 პერსონალს.

რაც შეეხება მომავალ პროექტებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობას იწყებს ჟესტური ენის სტანდარტსა და სპეციალურ პროგრამებზე, რომელიც სმენადაქვეითებულ და სმენის არმქონე მოსწავლეებს სწავლას გაუადვილებს. შესაბამისად, იგეგმება პირველი საფეხურის ჟესტური ენის სახელმძღვანელოს შექმნა დონეების მიხედვით და სტანდარტში სასკოლო მზაობის კლასის გათვალისწინება.

თამარ სანიკიძე: *ინკლუზიური განათლების კუთხით შედგა თანამშრომლობა ამერიკის საელჩოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და 203-ე საჯარო სკოლას შორის. ჩვენი ამერიკელი პარტნიორები დაგვეხმარენ მნიშვნელოვან საქმიანობაში – შენობის ადაპტირება, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. ასევე სკოლას გადაეცა სამარშრუტო ტაქსები, რომლებიც ძალიან სჭირდებოდათ. გარდა ამისა, მიმდინარეობს სწავლების შინაარსზე ორიენტირებული სამუშაოები – ჟესტური ენის სტანდარტის შემუშავება, დონეების მიხედვით სახელმძღვანელოების შექმნა, რამდენიმედღიანი საერთაშორისო კონფერენცია ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფო ძალიან სერიოზულად ეკიდება ამ თემას. რაც მთავარია, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და არის უკვე კონკრეტული შედეგები, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკის საელჩოს და, რა თქმა უნდა, ბატონ ელჩს.*

რიჩარდ ნორლანდი: *ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის სარდლობას მსგავსი სამოქალაქო დახმარების პროექტებისთვის გამოყოფილი აქვს გარკვეული თანხა. ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ინჟინერთა კორპუსი ხელმძღვანელობდა ამ სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რითაც გაუმჯობესდა პირობები სმენადაქვეითებული მოსწავლეებისათვის. დამონტაჟდა ციმციმები, რომლებიც მათ გაკვეთილის დაწყებას ან დასრულებას ატყობინებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს ევაკუაციის პროცესს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ინკლუზიურ განათლებას და მივიჩნევთ, რომ შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეები და სტუდენტები სრულად უნდა იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში.*

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ინფორმატიკის კათედრა

1 პროფესორი.

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის კათედრა

1 ასოცირებული პროფესორი.

საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 25 მაისიდან 2015 წლის 2 ივნისამდე, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 23 ივნისს.
კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2015 წლის 29 ივნისს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gttu.edu.ge ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

წიგნის თვრო

სიახლე!

გამოვიდა ქართულ ლიტერატურაში საატესტატო გამოცდისთვის მოსამზადებელი ტესტების მეოთხე ნაწილი XX საუკუნის მწერლობა



წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ინფორმაცია

სასწავლო რესურსების გამოფენა გაიმართა

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის საგანგებოდ შემუშავებული სასწავლო რესურსების გამოფენა გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორი **სტეფან ჰაიკინი** დაესწრნენ.

თანამედროვე სასწავლო რესურსები საქართველოს 122 საპილოტე საჯარო სკოლის (ქართული და ეთნიკური უმცირესობების) დაწყებით კლასებში ინოვაციური სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების დანერგვას ემსახურება. პილოტირება ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული „საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd)“ ფარგლებში ხორციელდება. ინოვაციური მიდგომები, სასწავლო პროცესებში მონაწილეობა და დამატებითი რესურსები ხელს უწყობს ეფექტურ სწავლებას და მაქსიმალურად ზრდის მოსწავლეთა პრაქტიკულ გამოცდილებას.

მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა, დაწყებით საფეხურზე, დონეების მიხედვით კლასიფიცირებული დამატებითი საკითხავი მასალა, დიდი ზომის წიგნები პატარა მკითხველებისთვის; პლაკატები, აქტივობის ბარათები და მანიპულატივები მათემატიკისა და კითხვის მიმართულებით; დასურათებული ბარათები ტექსტებით, საბავშვო გაზეთები მოსწავლეებისათვის და აქტივობის ბარათები მშობლებისათვის, რომლებიც შეიქმნა საკლასო გაკვეთილების გამდიდრების მიზნით, ქართველი სპეციალისტების მიერ.

თვალსაჩინო და ფერადი ილუსტრირებული მასალა ეხმარება მოსწავლეებს წარმოსახვის განვითარებაში (სხვადასხვა დროში, ადგილებსა და კულტურულ გარემოში მოგზაურობისთვის). G-PriEd-ის პროექტის ფარგლებში შექმნილი სასწავლო მასალა გზას უხსნის გააზრებული კითხვის და მათემატიკის სწავლას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის იდეების აქტიურად გაცვლა-გამოცვლას. სახალისო და ინოვაციური რესურსები ადვილს, ცოცხალსა და აქტიურს ხდის როგორც სწავლების, ისე სწავლის პროცესს.

G-PriEd-ის პროექტის დასრულების შემდეგ, სასწავლო რესურსები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეცემა და ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის.

თამარ სანიკიძე: *ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იყო, რომლის ფარგლებში, რესურსები და ყურადღება ზუსტად იყო მიმართული იქით, სადაც გვაქვს პრობლემები – დაწყებითი განათლების ნაწილში, კითხვითი უნარებისა და მათემატიკური უნარ- ჩვევების განვითარება, ასევე მშობლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში. შეიქმნა ძალიან ბევრი და საინტერესო საგანმანათლებლო რესურსი, რაც აუცილებელია დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემისთვის და რის ნაკლებობასაც რეალურად განვიცდით. ამიტომ მსგავსი პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანია.*

დასრულდა პირველი ეტაპი და მიმდინარეობს პროგრამის შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. მეორე ტალღა რომ დაიწყება, უკვე 500 სკოლა ჩაერთვება და ეს ძალიან კარგია. კონცენტრირება მოხდება სკოლებზე, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სწავლობენ – არაქართულენოვან სკოლებზე, რაც, ვფიქრობ, კიდევ უფრო დაეხმარება პედაგოგებსა და მოსწავლეებს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. პროექტი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე იყო და ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება და ასევე წარმატებული იქნება.

სტეფან ჰაიკინი: *დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. USAID და ამერიკის მთავრობა, დიდი ხანია, თანამშრომლობენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ვცდილობთ, პედაგოგებს გადამზადებაში დავეხმაროთ, რათა მათ გამოიყენონ ეფექტური სწავლებისთვის ესოდენ საჭირო ახალი რესურსები და მასალები. დღევანდელი შეხვედრა სწორედ ამ მასალების გაცნობას ეხება. პროგრამა ასევე გათვლილია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე.*

პედაგოგთა დასახმარებლად

ეკა ტყავაშვილი

ინგლისური ენა

პორტფოლიო, როგორც შეფასების ეფექტური მეთოდი

დასასრული. დასაწყისი იხ. №14

პორტფოლიოს შინაარსი

როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, პორტფოლიო უნდა შეიცავდეს მრავალმხრივ ინფორმაციას. უმცროსი ასაკის შემსწავლელებს მშობლიურ ენაზე შეუძლიათ გააანალიზონ თავიანთი მუშაობა და თქვან, თუ რატომ უნდათ კონკრეტული ნამუშევრის შეტანა პორტფოლიოში. თუ მოწაფეებს შეუძლიათ ზეპირად გამოთქვან აზრი, მაგრამ არ შეუძლიათ დაწერა, მასწავლებელი შეიძლება დაეხმაროს მათ და ჩაწეროს მოწაფის მიერ ზეპირად გამოთქმული კომენტარები. შესაძლოა ასევე მათი კომენტარის ტექნიკური საშუალებებით ჩაწერაც.

მასწავლებელმა თავისი ჩანაწერები და ანგარიშები უნდა ჩადოს პორტფოლიოში. ეს შეიძლება იყოს გაკვეთილზე მომხდარი რაიმე საინტერესო ამბის მოყოლა, ინტერვიუს ჩანაწერი (ნახეთ მაგალითი ქვემოთ), ბავშვთან მოკლე საუბარი, „მშობელი, მასწავლებელი, შემსწავლელი“ კონსულტაციის დროს გაკეთებული ჩანაწერები. თუკი მასწავლებელს მიაჩნია, რომ ეს კონფიდენციალურია, ისინი ცალკე უნდა შეინახოს საქაღალდეში, მშობლისთვის და შემდეგი მასწავლებლისთვის გადასაცემად.

ინტერვიუს ჩანაწერის ნიმუში

ალისამ და მე ვისაუბრეთ იმ წიგნების შესახებ, რომელთა კითხვაც უყვარს. მან თქვა, რომ მისი მშობლები მას ბევრს უკითხავენ. მე შევეკითხე ალისას, როგორ ართმევს იგი თავს მისთვის გაუგებარ მომენტებს. მან თქვა, რომ იყენებს სურათებს ან კონტექსტს, რაც ეხმარება გაგებაში. იგი ხშირად მიმართავს მიხვედრილობის მიხედვით ტექსტის თუ სიტყვების შინაარსის გაგებას, რაც, ხშირ შემთხვევაში, წარმატებული ხერხია.

გთავაზობთ რამდენიმე იდეას, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელმა პორტფოლიოების ორგანიზებულად წარმოება. ქვემოთ მოცემულია ნიმუში კითხვის უნარ-ჩვევისთვის.

საკონტროლო კითხვების სია ექსტენსიური კითხვისათვის

მიზანშეწონილია, ეს კითხვები მოწაფის პორტფოლიოს დასაწყისში ჩაიდოს, რომ ადვილი იყოს მისი გამოყენება. მასწავლებელი მოწაფეს უხსნის, თუ რისთვის არის კითხვები მოცემული და ეუბნება, რომ ეს სქემა მათი ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარებას ასახავს მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში. კითხვარი შეივსება მაშინ, როცა მოწაფე მიაღწევს ერთ-ერთ დასახულ ამოცანას. საჭიროა მიზნების ფორმულირება როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ ენაზე. ეს შესაძლებლობას მისცემს მშობელს თვალყური ადევნოს შვილის მუშაობას და მოწაფესაც ნათლად ექნება წარმოდგენილი მასზე დაკისრებული ამოცანები და ეცდება ეფექტური გზების მოძებნას მათი წარმატებით განხორციელებისთვის. იხილეთ ნიმუში ქვემოთ.

კითხვარი ექსტენსიური კითხვისთვის

სახელი ..... **კლასი** .....

	თარიღი	კომენტარი
მოსწონს კითხვა		
შეუძლია წასაკითხი ტექსტის სათაურის და ავტორის დადგენა		
შეუძლია მთავარი პერსონაჟების ამოცნობა		
შეუძლია ტექსტის ფაბულას ჩაწვდეს		
აქტიურად ეძებს კითხვის შესაძლებლობებს		
შეუძლია ტექსტის მთავარი შინაარსის გაგება		
შეუძლია ისაუბროს მთავარი პერსონაჟების შესახებ		
კითხულობს სხვადასხვა ჟანრის წიგნს		
შეუძლია მნიშვნელობის გაგება კონტექსტიდან. უცხო სიტყვები მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს		
შეუძლია ტექსტის შეჯამება/მოყოლა		
შეუძლია ტექსტის შეფასება		

კითხვის დღიური

კითხვის დღიური მასწავლებელს და მოწაფეს ეხმარება თვალყური ადევნონ ექსტენსიურ კითხვაში მუშაობის მიმდინარეობას. აქ ჩანს როდის დაიწყო და დაამთავრა მოწაფემ კითხვა, როგორია მისი კითხვის ტემპი და აღნიშნული წიგნით მისი დაინტერესება.

წიგნი გასართობია!

სახელი .....

კლასი .....

წიგნის შესახებ	დაიწყო კითხვა	დაასრულა კითხვა	ჩემი კომენტარები რა მომეწონა/რა არ მომეწონა
წიგნის სათაური ავტორი მთავარი პერსონაჟები			
წიგნის სათაური ავტორი მთავარი პერსონაჟები			

ამგვარად, პორტფოლიო შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია. იგი საერთო სურათს იძლევა მოწაფის მუშაობის შესახებ. გარდა ამისა, შეფასების სხვა ხერხებისგან განსხვავებით, პორტფოლიო საგრძნობლად ზრდის მოწაფის მოტივაციას, რადგან ის აქტიურადაა ჩართული სწავლის პროცესში და აქვს არჩევანის შესაძლებლობა. მოწაფესთან ერთად საკონტროლო კითხვებისა და კრიტერიუმების დადგენა შეფასებას სამართლიანსა და გამჭვირვალეს ხდის.

ინფორმაცია

კომპანია „ინტელთან“ თანამშრომლობა გრძელდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ კომპანია „ინტელის“ ვიცე-პრეზიდენტს, „ინტელის“ მსოფლიოს განვითარების პროგრამის გენერალურ მენეჯერს **ჯონ დევისს** შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და კომპანიის „ინტელი“ ბიზნესის განვითარების მენეჯერი ამერკავკასიის ტერიტორიაზე **მაკა მახათაძე**.

კორპორაცია „ინტელი“, მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, ხელს უწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას. მათი პროგრამების დახმარებით, ყოველწლიურად, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და ასაკის მილიონობით ადამიანისთვის ხელმისაწვდომი ხდება თანამედროვე ტექნოლოგიები, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტკავშირი, გაუმჯობესებული ჯანდაცვის სისტემა და ხარისხიანი განათლება. ამ მიზნით, „ინტელი“ თანამშრომლობს მრავალი ქვეყნის მთავრობასთან, ლოკალური კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელ კომპანიებთან, სატელეკომუნიკაციო პროვაიდერებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან, ჯანდაცვის დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეები თანამშრომლობის გაგრძელებასა და ერთობლივი ახალი პროექტების ამოქმედებაზე შეთანხმდნენ.

პედაგოგთა დასახმარებლად

მეგი როსტიაშვილი-წიკლაური

რუსული ენა

ИНТЕГРАЦИЯ РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ РЕЧЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ НА УРОКАХ РКИ

Продолжение

Урок№3

Число	
Предмет	Русский язык
Учитель	Ростиашвили-Циклаури Меги Робинзоновна
Тема урока	Письмо «Как найти свой круг?»
Количество учеников	16
Класс/ уровень	XI(ს-V)
Цель урока	• Выработать у учащихся навык использования необходимых стратегий чтения для понимания содержания текста. • Выработать навык излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме.
Связь со Стандартом	**უცხ.ს.V.6. მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მოთხრობის/ნოველის წაკითხვა და გაგება.** **უცხ.ს.V.8. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების, ნასწავლი ენობრივი ფორმებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა შინაარსიან კონტექსტში.** **უცხ.ს.V.10. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).*** **უცხ.ს.V.15. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა მისთვის ნაცნობ თემებზე, საკითხებზე.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).***
Задачи урока	• Выработать у учащихся навык определения и группировки различных фраз и слов по данной теме. • Выработать у учащихся навык выделять основную информацию из текста. • Выработать у учащихся навык вероятностного прогнозирования. • Выработать у учащихся навык нахождения сходств и различий в тексте. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в устной форме. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в письменной форме.
Результаты урока	• Учащиеся могут использовать необходимые стратегии чтения для понимания содержания текста. • Учащиеся могут излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме.
Описание активностей/ последовательность урока	I. Организационный момент. II. Основная часть урока. 1) Ученики смотрят видеосюжет «Как мало мы общаемся!».(3 мин.) • Как вы считаете, насколько важно общаться со сверстниками? Обсуждение. (3 мин.) 2) Класс делится на группы. Каждый ученик получает задания. Ученики выполняют лексические упражнения индивидуально. Обсуждают в группе.Читают ответы. (3 мин.) 1. Соедините слова (синонимы/антонимы). Впишите ответы в таблицу.

1. лёгкий	А) возвращаюсь
2 гуманитарный	Б)трудный
3. прихожу	В) говорить
4. нужную	Г) враждебно
5. общаться	Д) необходимую
6. часто	Е) технический
7. молчать	Ж) разговаривать
8. чуть-чуть	З) редко
9. дружелюбно	И) немного

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9
Б	Е	А	Д	Ж	З	В	И	Г

Описание активностей/ последовательность урока

2. Соедините фразы. Впишите ответы в таблицу. (3 мин.)

1. учусь в университете	А) необходимая по предмету литература
2. прихожу после пяти-шести часов	Б) все хотят туда попасть
3. перед сном	В) никто мной не интересуется
4. нужная по курсу литература	Г) общаются друг с другом
5. туда бегут все студенты	Д) я стала другой
6. на меня никто не обращает внимания	Е) хожу в ВУЗ
7. информацией обмениваются	Ж) ко мне хорошо относятся
8. мой психологический портрет изменился	З) перед тем, как лечь спать
9. относятся дружелюбно	И) возвращаюсь вечером

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9
Е	И	З	А	Б	В	Г	Д	Ж

3. Ученики читают текст и выполняют задание 3. (13 мин.)

Как найти свой круг?
(Грустное письмо)

Мне 19 лет, я учусь в университете, живу в большом городе. Факультет, на котором я учусь, «лёгкий» – гуманитарный.Читаю книги, а в свободное время хожу в оперу, в театр и филармонию. И ещё изучаю иностранные языки.

Прихожу домой после пяти-шести часов, ужинаю, смотрю телевизор, перед сном читаю нужную по курсу литературу. И так каждый день. Иногда бывают студенческие вечера. И туда бегут все студенты, и я бегу. Бегу, потому что хочу с кем-нибудь познакомиться и поговорить о чём-нибудь. Я хочу общаться. Но на вечерах я часто стою весь вечер у стены, на меня никто не обращает внимания. Я смотрю на тех девушек и юношей, которые танцуют, и вижу, что они не разговаривают друг с другом, они молчат. Однажды я спросила у своего партнёра, почему он молчит. Он ответил мне, что информацией обмениваются на семинарах и коллоквиумах. У меня больше не было вопросов к нему. И танцевать не хотелось.

Мой психологический портрет изменился: раньше я была сангвиник, а теперь – холерик и чуть-чуть меланхолик. В группе меня считают серьёзной, относятся дружелюбно. Но у меня нет близкой подруги и друга, с которым я могла бы делиться всем-всем. Меня интересует: где и как найти свой круг. И как эту проблему решают молодые люди? Я прошу ответить на моё письмо в вашей газете. Спасибо.

Наташа Г.

3. Прочитайте письмо, укажите правильный ответ «да» или «нет».

1	Мне 19 лет, я учусь в ВУЗ-е, живу в небольшом городе.	**ДА**	НЕТ
2	Факультет, на котором я учусь, «трудный» – технический.	ДА	**НЕТ**
3	В свободное время хожу в оперу, в театр и филармонию и изучаю иностранные языки.	**ДА**	НЕТ
4	Домой я прихожу не позже шести часов.	**ДА**	НЕТ
5	Каждый день я смотрю телевизор, перед сном читаю нужную по курсу литературу.	**ДА**	НЕТ
6	На вечерах я танцую и разговариваю со всеми.	ДА	**НЕТ**
7	Мой партнёр сказал, что хочет поговорить со мной.	ДА	**НЕТ**
8	В группе меня считают весёлой, относятся дружелюбно	ДА	**НЕТ**

4. Составьте небольшой диалог в парах. Спросите своего напарника: «Как вы знакомитесь со сверстниками?» Разыграйте диалоги. (10 мин.)

III. Заключительная часть урока

5. Ученикам предлагается написать эссе. (10 мин.)

Напишите небольшое эссе.

• Существует мнение, что общение со сверстниками совершенно необходимо. Что думаете по этому поводу Вы? Дайте аргументированный ответ. (30-50 слов)

.....

.....

.....

Оценивание учащихся	Индивидуальные схемы оценки. Оценка учителем групповой работы учащихся. Определяющая индивидуальная оценка каждого ученика по схемам после проверки работ учащихся.
Ресурсы	Видеосюжет, текст, задания, схемы, оценочные схемы, маркеры и листы формата А4.

სასკოლო აქტივობა

სასწავლო პროექტი – მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის საუკეთესო საშუალება

შემოქმედებითობა პედაგოგიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, თანდაყოლილ ნიჭსა და წლების განმავლობაში გამომუშავებულ უნარებს ეფუძნება. თუმცა, ეს კომპეტენცია შესაძლებელია მეყსეულად ამაღლდეს, თუ პედაგოგი ისეთ ინსტრუმენტს მოიმარჯვებს, როგორიცაა საგანმანათლებლო პროექტი.

პროექტი, როგორც წესი, აკადემიურ სივრცესთან ასოცირდება და სპეციფიკური ნიჭის ქონას უკავშირდება, სინამდვილეში კი, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე, ნებისმიერი პედაგოგის საქმიანობის ნაწილი უნდა გახდეს.

სასწავლო პროექტი, როგორც მეთოდი, განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. ეს არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი თუ თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას უზრუნველყოფს. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვას, კვლევას, პრაქტიკულ აქტივობას და შედეგების წარმოდგენას არჩეული საკითხის შესაბამისად, პროექტგაკვეთილი კი სწავლების განსაკუთრებული ფორმაა, რომლის დროსაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად ფორმულირებულ საკითხს, პრობლემას მიმართავენ. პროექტზე მუშაობა იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას, ზრდის მათ პასუხისმგებლობას, ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

ერთი ასეთი გრძელვადიანი სასწავლო პროექტის შესახებ გვინდა გიამბოთ. იგი მეტად გლობალურ პრობლემას – ქართული ენის სიწმინდის დაცვას – ისახავდა მიზნად. პროექტში, 3 თვის განმავლობაში, 100-მდე მოსწავლე იყო ჩართული.

როგორ გაჩნდა პროექტის იდეა?

ქართული ენის სიწმინდის დაცვა თანამედროვე ყოფის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში, როცა ადამიანებს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შეთვისება-გააზრების ყველა პირობა აქვთ, მშობლიური ენის ნორმები უხეშად ირღვევა.

ასეთი ვითარება სუფევს აბრებზე, რეკლამებზე, გაზეთებში, ტელევიზიაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ საკითხის გამოსწორებაზე კი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები უნდა დავფიქრდეთ და მუშაობა სკოლის კედლებიდანვე დავიწყოთ.

ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეში, დიდი მწიგნობარი მეფე დავით აღმაშენებელი შეგვახსენებდა: *„ენა დედაა ერისა, კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არს“*. ვაჟა-ფშაველაც ამას ამბობდა: *„პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა“*, გრიგოლ ორბელიანის აზრით კი: *„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“*...

XX-XXI საუკუნეებში ჩვენი ენა, ისე როგორც არასდროს, რუსიციზმების და ანგლიციზმების მოჭარბებას განიცდის. ამან დაგვაფიქრა და სურვილი გაგვიჩინა, შეძლებისდაგვარად, მშობლიური ენისთვის მიგვეხედა. ჩვენი თანაქალაქელიც ხომ ამას ბრძანებდა: *„ენა ჩვენს მიერაა შერყვნილი და ჩვენგანვე ელის აღდგინებას“*.

სწორედ ამ მიზნით წამოვიწყეთ პროექტი სახელწოდებით – „ენა დედაა ერისა“, რომლის უშუალო განმახორციელებლად მოგვევლინენ წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლის $X^{ა}$ და $X^{ბ}$ კლასელები. თუმცა, პროექტის მსვლელობაში ქალაქის №2 საჯარო სკოლის, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო გიმნაზიისა და ბანოჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთნენ. ასე გახდა პროექტი მასშტაბური – სარაიონო ხასიათის, სკოლათა თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუში.

პროექტი გრძელვადიანი იყო, 3 თვე მიმდინარეობდა და რამდენიმე აქტივობას მოიცავდა.

პირველი აქტივობა გახლდათ ენის საგუშაგოების შექმნა სკოლასა და კლასებში, რითაც სკოლის საზოგადოების ინფორმირება მოვახერხეთ და მათ მაქსიმალურ ჩართვას შევეცადეთ. შედეგმაც არ დააყოვნა. ყველა მოსწავლე გაეცნო პროექტის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს და, შეძლებისდაგვარად, გამოასწორა მეტყველებაში არსებული სხვადასხვა ხარვეზი.

მეორე აქტივობა მიეძღვნა პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ ენის სიმტკიცის დაცვასთან დაკავშირებულ ინტერვიუებს მნიშვნელოვან პიროვნებებთან: პარლამენტარ **ომარ ნიშნიანიძესთან**, რომელმაც გასაგებად ჩამოგვიყალიბა პარლამენტის მოსაზრება ქართული ენის სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ კუთხით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან **კონსტანტინე მამისეიშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარესთან **კახა ბაბუნაშვილთან** – მათ, ერთობლივად, ქალაქის ბიუჯეტიდან გამოგვიყვეს თანხა ექსკურსიისთვის და მოგვცეს საშუალება დედაენის ძეგლი მოგვენახულებინა.

შემდეგი აქტივობა ითვალისწინებდა სადისკუსიო კითხვარების დარიგებას და ანკეტურ გამოკითხვას ქალაქის სკოლებში, პედაგოგებში, მოსწავლეებში, სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებში, რომელთაც საინტერესო მოსაზრებები მოგვაწოდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად.

კითხვაზე, თუ რამდენად აქტუალურია დღეს ქართული ენის სიწმინდის დაცვა, გამოკითხულთა უმეტესობამ უპასუხა, რომ პრობლემა აქტუალურია და დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია ჩვენი ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა.

კითხვაზე – რა არის საჭირო პრობლემის მოსაგვარებლად, გვიპასუხეს: აუცილებელია ჩატარდეს მრავალფეროვანი და შინაარსიანი ღონისძიებები, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მეტყველების კულტურას, სიტყვების სწორად შერჩევას; დასახვეწია სტილის საკითხებიც, პირველ რიგში კი, მასწავლებლის შრომა უნდა დაფასდეს, უნდა წაახალისონ მსგავსი პროექტებით დაინტერესებული პედაგოგები.

პროექტის მეოთხე აქტივობა გახლდათ სასწავლო-შემოქმედებითი სამეცნიერო კონფერენცია მწერალ ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში, სახელწოდებით – „ენა მწერლის ბალავარია“. როგორც სხვა დროს, გულთბილი მასპინძლობა ამჯერადაც შემოქმედის ვაჟმა – **დაჩი იოსელიანმა** გაგვიწია.

კონფერენციას ესწრებოდნენ: მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის წარმომადგენელი **ნინო ჩიხლაძე**, პედაგოგები: **მარინე გოგიძე, მანანა ლომთაძე, მაია გურეშიძე, ნანული ბობოხიძე, დარეჯან ლაჭყებიანი, დოდო ხაჩიძე,** სკოლის დირექციის წარმომადგენლები **ლაურა ბაღაშვილი** და **დალი სილაგაძე.**

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 12 მოხსენება, აქედან ცხრა პირველსკოლელებმა – **მაგდა მარგიანმა, ელენე ნამჩევაძემ, სალომე ჯიმშელეიშვილმა, ნინო ვაშაკიძემ, ანი ქუთათელაძემ, ლიზი ბოჭორიშვილმა, ანი ჯოხაძემ, თინათინ ჩირგაძემ, ანი კოპალიანმა** – მოამზადეს (თემების ხელმძღვანელი – **ფაქიზო ფანჩულიძე**), სამი მოხსენება სხვა სკოლის მოსწავლეებმა – **დიანა ზვიადაძემ, ეკა ჩარქსელიანმა** და **ანი მდივანმა** წარმოადგინეს (თემების ხელმძღვანელები: **ნათია ბენდელიანი, მაია გურეშიძე, მარინე გოგიძე**).

პროექტის მეხუთე აქტივობა – დისკუსია წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდა. მონაწილეობდნენ ქალაქის №1, №2, №3, ბანოჯის საჯარო სკოლების და წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები. წინასწარ განისაზღვრა დისკუსიის მიზანი, წესები, შეფასების სქემა.

იმ დღეს პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ყველა სკოლის თვითმმართველობების წარმომადგენლებს გადასცეს წინასწარ შემუშავებული დებულება, რომელიც განსაზღვრავდა სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობებთან ქართული ენის სიწმინდისათვის მზრუნველი კლუბების შექმნას.

ალბათ, ყველაზე დაუვიწყარი იყო გასვლითი ექსკურსია თბილისში – დედაენის ძეგლთან და მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. დედაენის ძეგლმა დიდი შთაბეჭდლება მოახდინა მოსწავლეებზე, რომელთაც წინასწარ გააზრებული ჰქონდათ ამ ძეგლის სიმბოლური მნიშვნელობა. შემდეგ მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გავემართეთ, მოკრძალება და პატივისცემა გამოვხატეთ ყვავილებით, რომლებიც თითოეული შემოქმედის საფლავთნ მივიტანეთ. იქედან მცხეთას – ძველი საქართველოს სატახტო ქალაქს ვესტუმრეთ და სამთავისის ტაძარში წმინდა გაბრიელ ბერის ნეშტის წინაშე ქედი მოვიხარეთ. დიდი კონსტანტინე გამსახურდიას მუზას – ცადატყორცნილ სიმფონიას – სვეტიცხოველს ვეწვიეთ, ვეამბორეთ იმ ადგილს, სადაც უფლის კვართია დაფლული,

მოვინახულეთ „პატარა კახის“ საფლავი...

14 აპრილს, დედაენის დღეს, პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა წინასწარ შედგენილი ბუკლეტები დაარიგეს ქალაქის ცენტრალურ ადგილებში, ყველა სკოლაში, ესტუმრნენ ღირსეულ თანაქალაქელებს, მათ შორის ღვანლმოსილ მედიკოსს, შემოქმედ პიროვნებას, უსინათლო ქალბატონს **ელადა ქაროსანიძეს**, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე, „ახალგაზრდების თვალებით ხედავს სამყაროს“.

პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ინტეგრირებული (ქართული, მასწავლებელი – **ფაქიზო ფანჩულიძე** და მუსიკა, მასწავლებელი – **მაკა ჟორჟოლიანი**) ღია გაკვეთილი V^ა კლასში, სახელწოდებით – „ო, ენავ ჩემო“. წყვილებში მუშაობით მოსწავლეებმა გამართეს პრეზენტაციები უძველესი წერილობითი ძეგლების, ქართული ანბანისა და დედაენის ძეგლის შესახებ; პატარებმა კი, მეთოდით „გასეირნება გალერეაში“, კრეატიულად წარმოადგინეს უზადო კოლიგრაფია ნახატებთან ერთად.

სიახლე იყო უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ანბანთქების – ჰალილუიას გამომეტყველებით წაკითხვა. ბოლოს მათ ჯემალ სეფიაშვილის ცნობილი სიმღერა „ო, ენავ ჩემო“ შეასრულეს.

პროექტის შეჯამება გახლდათ ინტეგრირებული გაკვეთილი X^ა და X^ბ კლასების ბაზაზე, რომელიც 2 მაისს – ქუთაისობის დღესასწაულს დაემთხვა, მაგრამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კონსტანტინე მამისეიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **კახა ბაბუნაშვილმა** მაინც მოახერხეს დროის გამონახვა, ჩვენი პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრნენ და საქებარი სიტყვებიც არ დაიშურეს.

გაკვეთილი ჯგუფური მეთოდით წარიმართა. ჯგუფის ლიდერებმა – **თინათინ ჩირგაძემ, ანი ქუთათელაძემ, ელენე ნამჩევაძემ,** საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს. პროექტ-გაკვეთილის შემდეგი აქტივობა – „მხატვრული ლექსის ანალიზი“ მეცნიერული კვლევის საუკეთესო ნიმუში გახლდათ. მოსწავლეებმა გააანალიზეს იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და მეცნიერ ალეკო ცინცაძის მოსაზრების მიხედვით, ჰემარტიის პრინციპზე დაყრდნობით, გაშიფრეს ლექსი, რომლიდანაც გამოიკვეთა, რომ ქართული ანბანი ძვ.წ. 1000 წლით ადრე უნდა იყოს შექმნილი.

გაკვეთილის ბოლო აქტივობა პროექტის **SVOT** ანალიზი გახლდათ. გამოიკვეთა პროექტის ძლიერი მხარეები: პროექტმა განუვითარა მოსწავლეებს ძირითადი სამეტყველო უნარები, გამოუმუშავა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, საკუთარი აზრის ლოგიკური, თანმიმდევრული გამოთქმის და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნისა და კრიტიკული აზროვნების, მარლთწერისა და ენის გრამატიკული ნორმების დაცვის უნარი, გაუღრმავა ცოდნა სხვათა მოსაზრებებისა და შეხედულებების საფუძველზე...

პროექტის სუსტი მხარე, ალბათ, ის გახლდათ, რომ შეიძლებოდა მასში მთელი სკოლის ჩართვა.

ჩვენი ენის საფრთხედ მოსწავლეებმა მიიჩნიეს მეტყველებაში მყარად დამკვიდრებული ბარბარიზმები და ის, რომ არ განელდეს ამ საკითხის მიმართ საზოგადოების ინტერესი.

პროექტი შეჯამდა, დასრულდა, მაგრამ გაგრძელდება ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, ჩვენს მეტყველებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობებთან შექმნილი კლუბების მუშაობაში. განა შეიძლება ეს ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმე ოდესმე დასრულდეს?!

ვიმედოვნებთ, რომ პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლე ქართული ენის სიწმინდისათვის ზრუნვით „მოიწამლა“ და დიდი ილიას სიტყვებს გაიხდის სამოქმედო არეალად: *„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც ვერ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!“*

ფაქიზო ფანჩულიძე
პროექტის „ენა დედაა ერისა“ ავტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დაწყებითი განათლების პროექტ G-PriED-ის ფასილიტატორი კითხვის მიმართულებით, სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დირექტორი

14 აპრილი

ვამრავლოთ მამულში სიტყვა ქართული

14 აპრილს ქართველისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი განძის – „დედაენის“ შემქმნელის, უანგარო მამულიშვილის, იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ ვარიანში აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოზარდებთან ერთად, ქართული ენის ნამდვილი სახალხო დღესასწაული მოაწყვეს.

ათი წელია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სსიპ კინოცენტრი „აფხაზეთი“ ახორციელებს პროექტს „ქართული ენის პოპულარიზაცია საქართველოს ქართულ და არაქართულენოვან საჯარო სკოლებში მშვიდობისა და ნდობის განმტკიცებისათვის“. გამონაკლისი არც 2015 წლის 14 აპრილი გამოდგა.

პროექტის ფარგლებში, აფხაზეთის ჯუმბერ ბეთაშვილის სახელობის №2 და ვოვა ვეკუას სახელობის №3 საჯარო სკოლების, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების: მამხუტის, არქევნის და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჩაგანის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეებმა დიდი იაკობის მშობლიურ სოფელ ვარიანში წარმოადგინეს ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ვამრავლოთ მამულში სიტყვა ქართული“.

პროექტს მეტი ხიბლი შესძინა ვარიანის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლაჟვარდი“ (ქორეოგრაფი – **ნონა გამხიტაშვილი**) და ფოლკლორულმა ანსამბლმა „გუმბათი“ (ხელმძღვანელები: **სოფიო ქირია** და **სოსო კიკვაძე**). მონაწილეები დალოცა **მამა თადეოზმა**. ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე **როლანდ ნიჟარაძე**, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის პირველი მოადგილე **ბელა კოპალიანი**, კუტურული ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსი **ირაკლი გელენავა**, ვარიანის ტერიტორიული ორგანოს მაჟორიტარი დეპუტატი **ზვიად დავითაძე**, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი **მეუფე ვახტანგ ბერკაციშვილი**. შთამბეჭდავი იყო აფხაზეთის ომის მონაწილეების – **ვახტანგ კოკაურის**, **ვლადიმერ სოჯოვის**, **შალვა ადუაშვილის**, **კობა ლომიძისა** და **კახაბერ კერესელიძის** დასწრება ღონისძიებაზე. პოეტის, **ლილი გოგებაშვილის** სტუმრობამ სხვა ელფერი შესძინა პროექტს. ღონისძებას უმასპინძლა ვარიანის იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმმა (დირექტორი – **ნათია ადუაშვილი**).

ნათია ადუაშვილი: *„იაკობ გოგეგბაშვილის სახლ-მუზეუმი სიამოვნებით მასპინძლობს აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს. ისინი მრავალი წელია სტუმრობენ სახლ-მუზეუმს. ხმაურობს ქართული სისხლი მოზარდებისა, რომლებმაც მშობლიური კუთხე, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც დაკარგეს. ისინი აქედან ეხმაურებიან აფხაზეთში მცხოვრებ თანატოლებს, რომ ისინი სულ მალე დაბრუნდებიან აფხაზეთში და იქ, ძირძველ საქართველოში, ერთად მოუვლიან მშობლიურ ენას – ქართულს. დიდ მადლობას ვუხდი აფხაზეთის მთავრობას, განათლებისა და კუტურის სამინისტროს, კინოცენტრ „აფხაზეთს“ და ყველა მათ, ვინც ასე აფასებს და უფრთხილდება ჩვენი დიდი მოძღვრის, იაკობ გოგებაშვილის სახელს და მოზარდებში ნერგავს დედაენისადმი სიყვარულს“.*

ვახტან ყოლბაია: *„აფხაზეთი მრავალეროვანი კუთხეა საქართველოსი. აქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, ამიტომ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ინტეგრაცია და ეფექტური კომუნიკაცია მშვიდობიანი თანაარსებობისთვის. აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა უნდა იცოდნენ მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ფასი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ კინოცენტრი „აფხაზეთი“ მსგავს პროექტებს ახორციელებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან დამეგობრება-დაახლოებისა და მათი ქართულად ამეტყველების ხელშეწყობის მიზნით. ეს შემდგომ აუცილებლად გაგრძელდება აფხაზეთში“.*

გია გვაზავა: *„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო მხარში უდგას პროექტის მონაწილეებს, რომლებიც ქართული ენის სიყვარულმა გააერთიანა. დღეს კი, დიდი იაკობის ულამაზეს სამყაროში ქართული ენის დაცვის დღეს ვზეიმობთ. იქ, მშობლიურ აფხაზეთში კი, ქართველებს მშობლიურ ენაზე უკრძალავენ სწავლას. გვეცილებიან ენას ფარნავაზისას, იოანე ზოსიმეს და რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის ენას, მაგრამ გვჯერა, რომ აფხაზეთში კვლავ იზეიმებს სიტყვა ქართული“.*

როლანდ ნიჟარაძე: *„14 აპრილი ქარველი ერის უდიდესი დღესასწაულია. ცნობიერებას დედაენაზე უფრო ძვირფასი არაფერი შემორჩენია. ამ ეროვნული ფასეულობის მნიშვნელობას აცნობიერებენ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები და აზერბაიჯანელ მოზარდებთან ერთად, უდიდესი მოძღვრისა და „დედაენის“ ავტორის იაკობ გოგებაშვილის მშობლიური ვარიანიდან, სრულიად საქართველოს ულოცავენ ქართული ენის დღეს. პროექტი აქტუალურია, როგორც არასდროს, დღეს აფხაზეთში უფრო მწვავედ დადგა ქართული ენის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მას მტერი გაქრობით ემუქრება. ამ პროექტით დიდი იაკობის ნაკვალევიდან ვეუბნებით მათ: აფხაზეთი ძირძველი საქართველოა, მის უძველეს ენას მტერი საუკუნეებია ეცილება, მაგრამ ვერაფერი დააკლო, მოიტანა დღემდე და მომავალშიც უპატრონებს მას“.*

ბელა კოპალიანი: *„აქ, ამ დიდებულ, ღვთიური შარავანდებით მოსილ სახლში შეიქმნა საქართველოს უძვირფასესი განძი – „დედაენა“. იაკობ გოგებაშვილი უდიდესი მამულიშვილი და ერის სიამაყეა. ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები დიდი მოძღვრის მშობლიური სახლიდან უერთდებიან სრულიად საქართველოს ზეიმს. მათთან ერთად აზერბაიჯანელი მოზარდებიც ზეიმობენ. მათ უყვართ ენა ქართული, რადგან იციან, რომ ქართული ენა მათი მომავალი წარმატების და ერთიან, ძლიერ საქართველოში მშვიდობიანი ცხოვრების გარანტიაა“.*

ლილი გოგებაშვილი: *„ღირსშესანიშნავი დღეა ჩვენს ცხოვრებში. დედაენის დღეს ვზეიმობთ ჩვენი უდიდესი წინაპრის იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ ვარიანში. მაგრამ გულისტკივილით მინდა აღვნიშნო: მეგონა, დღეს აქ ხალხმრავლობა იქნებოდა, რამეთუ იაკობ გოგებაშვილი სრულიად საქართველოს მოძღვარი იყო. რამდენი წელია მოვდივარ აქ და მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები, აფხაზეთის ა/რ მთავრობა და აფხაზეთის ა/რ განათლების და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები მხვდებიან. აფხაზეთი ძირძველი საქართველოა, ალბათ, ამიტომ იციან დიდი იაკობისა და მისი „დედაენის“ ფასი. მინდა მადლობა ვუთხრა პირადად აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრს დიმიტრი ჯაიანს, კინოცენტრ „აფხაზეთის“ თანამშრომლებს: ლეილა თორიას, მედეა ზუხბაიას და ლეილა ბაღბაიას იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის ასე ლამაზად წარმოჩენისათვის“.*

ლეილა თორია: *„ორიოდე სიტყვით მინდა ვისაუბრო პროექტის თაობაზე: პროექტს დიდი ხანია ვახორციელებთ. მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია საქართველოს ძლიერებისათვის. ძნელია, ცხოვრობდე საქართველოში და გეკრძალებოდეს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი, სწავლა... ეს ხდება აფხაზეთში – საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში. ჩვენ ვერ შევურიგდებით ამას, ყველაფერს გავაკეთებთ მშობლიური აფხაზეთისთვის, ჩვენ იქ აუცილებლად დავბრუნდებით“.*

ლეილა ბაღბაია: *„პროექტის ორგანიზატორებმა მეტად საინტერესო, საჭირო და აქტუალურ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი. უკვე მერამდენე წელია ქართველი, აფხაზი, აზერბაიჯანელი, ოსი და ჰერეთელი მოზარდები ერთად ზეიმობენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, რადგან მათ ერთი დიდი საფიცარი – საქართველო და ქართული ენა – აერთიანებთ“.*

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სპორტული და გასართობი ღონისძიებები. პარალელურად, კალიგრაფმა ლეილა ბაღბაიამ ჩაატარა ვორქშოპი ქართულ კალიგრაფიაში. ბატონებმა ვახტანგ ყოლბაიამ და გია გვაზავამ პროექტში მონაწილე სკოლები დააჯილდოვეს დიპლომებით. აფხაზეთის ომის მონაწილე ვარიანელ მეომრებს ბატონმა ვახტანგმა მადლობა გადაუხადა და გადასცა სააღდგომო ნობათი.

პროექტი „ქართული ენის პოპულარიზაცია საქართველოს ქართულ და არაქართულენოვან საჯარო სკოლებში მშვიდობისა და ნდობის განმტკიცებისათვის“ დასრულდა. კინოცენტრმა „აფხაზეთმა“, აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლების და კუტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერების საქმეში.

მედეა ზუხბაია

9 აპრილი ერის ტკივილია

„მე მტკივა 9 აპრილი“ – ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც ლახამულის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა **მანანა კვირიკაძემ**, მერვეკლასელებთან ერთად, მოამზადა. სანთლების, ტიტების და ქართული ესტრადის მაშინდელი ვარსკვლავების მიერ ჰიტად ქცეული ცნობილი სიმღერის ფონზე, მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას 1989 წლის 9 აპრილის წინა ღამე შეახსენეს, ეკრანზე კი იმ ავბედითი ღამის კადრები ენაცვლებოდა ერთმანეთს. პატრიარქის მონოდების შემდეგ, დარბაზში, **რუსუდან ჭკადუას** მიერ შესრულებულმა „სალაღობომ“ ყველას ცრემლი მოჰგვარა. დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი სცა დაღუპულთა ხსოვნას.

მოსწავლეებმა – **ანა კობახიძემ, რუსუდან ჭკადუამ, ანზორ სუბელიანმა, ლექსო ჭკადუამ, დავით კვირიკაძემ, ნინო ჭკადუამ** – ქართველ პოეტთა ლექსები წაიკითხეს.

ლალი მარგიანი

კონფერენცია

სტუდენტური გამოწვევები

18 აპრილს, 12 საათზე სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში, ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა ISIE-ის ორგანიზებით, ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია „სტუდენტური გამოწვევები“.

კონფერენციაში მონაწილეობდა 50-ზე მეტი სტუდენტი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. 15 საუკეთესო ნაშრომის ავტორებმა, მოწვეული ჟიურისა და აუდიტორიის წინაშე, მოხსენებები გააკეთეს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- პროფესიის სწორად შერჩევა და თვითრეალიზება;
- არაფორმალური განათლების როლი კარიერულ წარმატებაში;
- სტუდენტთა დასაქმების პრობლემა საქართველოში.

ჟიურიმ სამი გამარჯვებული გამოავლინა:

I ადგილზე გასულმა **ნინო შავდათუაშვილმა** საჩუქრად მიიღო ინგლისური ენის კურსის უფასო ვაუჩერი Cambridge House College-სგან;

II ადგილზე გასულმა **თამარ არავიაშვილმა** – წიგნები Prospero's books-ისგან;

III ადგილზე გასული **ინგა კობახიძე** დასაჩუქრდა მარჯანიშვილის თეატრის მოსაწვევებით.

გამოვლინდა, ასევე, ISIE-ის ფავორიტი – **ანანო ყალიჩავა**.

მომხსენებლების მიერ შემოთავაზებულ იქნა საინტერესო მოსაზრებები და რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემების გადაჭრის კუთხით, რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია უკეთესი მომავლის შექმნისათვის.

ნანა ელიოზიშვილი

ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი

26 წელი გავიდა იმ საშინელი ტრაგედიიდან, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს დატრიალდა, მაშინ თავისუფლებისმოყვარე ქართველები საბჭოთა რეჟიმმა დაარბია. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არ დავიწყებ ამ დღისა და თემის ისტორიული მოვლენების მოყოლას, რადგან ამაზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი. „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“, მას უნდა მიაღწიო, შეიგრძნო და გაიგო, თუნდაც სიცოცხლის ფასად. ყველა ის ადამიანი, ვინც 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე თავისუფლებისთვის ბრძოლას ემსხვერპლა, გმირია. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ დამოუკიდებელი ერი ვართ.

მე მინდა მოგიყვეთ კიდევ ერთი ლამაზი დღის შესახებ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, კვალს დატოვებს ჩვენი თანამემამულეების გულებში. ჩვენ – ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები – საქართველოს წარმომადგენლები ვართ. ერთი და იმავე ცის ქვეშ, ერთსა და იმავე მიწაზე დაბადებულები, სრულიად განსხვავებულები, მაგრამ მაინც ერთნი, როგორც ღვთის სამსახეობა... მინდა, ჩვენმა ეთნიკურმა უმცირესობებმა ძირფესვიანად იცოდნენ იმ ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის შესახებ, სადაც ცხოვრობენ. ჩვენ, საბირქენდის სკოლამ, ქესალოსა და კასუმლოს სკოლის მოსწავლეებთან ერთად, მოვამზადეთ 9 აპრილის საღამო, სახელწოდებით: „ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი“. მოვიწვიეთ 9 აპრილის უსინათლო გმირი, ქალბატონი **ლელა ვეფხვაძე**. სამი უსინათლო იყო მის გვერდით, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს ცოცხლები აღარ არიან.

ეს საღამო ძალიან ემოციური იყო ჩვენთვის. საამაყოა, როცა გაქვს შანსი, შეხვდე შენი ქვეყნის გმირს. უფრო საამაყოა, როცა ამ ყველაფერს ეთნიკურ უმცირესობებს უზიარებ და აცნობ იმ ისტორიას, რაც მტკივნეული და ამავდროულად მნიშვნელოვანია, რადგან ამ ტრაგედიიდან ორი წლის თავზე საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო. მოსწავლეებმა წარმოადგინეს 9 აპრილის ისტორიული მოვლენების შესახებ პრეზენტაცია, წაიკითხეს ლექსები 9 აპრილზე და იმღერეს. ქალბატონი ლელა აღფრთოვანებული დარჩა მოსწავლეების ნამღერით, მისი აცრემლებული თვალები ყველაზე დიდ სითბოს გამოხატავდა. როგორც

თავად აღნიშნა ნამღერმა იმდენად აღაფრთოვანა, რომ თვალწინ დაუდგა 9 აპრილის საღამო...

ეს ღონისძიება ჩატარდა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გამგებლის, ბატონ **მერაბ თოფჩიშვილის** მხარდაჭერითა და თანადგომით. მიხარია, რომ ამდენი კეთილი ადამიანი არსებობს. ბატონი მერაბი დაესწრო ჩვენს ღონისძიებას. ქალბატონ ლელას მარნეულის გამგეობამ ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაუწია. ეს გულწრფელი შეხვედრა მეტად ემოციური იყო, მოსწავლეები ძალიან დიდი შთაბეჭდილების ქვეშ დარჩნენ.

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში დაგვიდგა, განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ლელას, რომ გამონახა დრო და გამოთქვა სურვილი, გაეზიარებინა აზერბაიჯანელებისთვის სიყვარული და ერთად მიგვეგო პატივი 9 აპრილს დაღუპული გმირებისთვის. მადლობა ბატონ მერაბ თოფჩიშვილს, ამდენი სითბო და სიკეთე რომ გასცა, უკვალოდ ხომ არაფერი იკარგება. ეს დღე ყველაზე დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის გზაზე, ქართულ საზოგადოებაში. ყველამ ერთად ვუსურვოთ ამ ადამიანებს სიკეთე და დიდხანს სიცოცხლე. მინდა, მუდამ შეგვეძლოს ერთმანეთის გვერდში დგომა და სიყვარული.

ასმათ ძირია

თვალსაზრისი

არაფორმალური განათლების როლი კარიერულ წარმატებაში

სალომე გახარია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

ერთ-ერთი ცნობილი გამონათქვამის თანახმად, „ის ჯარისკაცი რა ჯარისკაცია, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობს“. მართლაც გაგიჭირდებათ დღეს ისეთი ადამიანის პოვნა, რომელსაც სრულად აკმაყოფილებს თავისი პროფესიული მდგომარეობა და არ ოცნებობს ახალი სიმაღლეების დაპყრობაზე. ამგვარი ამბიცია ნამდვილად მოსაწონია, რადგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც საფუძვლად უდევს ნებისმიერი სახელმწიფოს კეთილდღეობას.

ერთი შეხედვით, ყველასათვის ნათელია, თუ რა უნდა გაკეთდეს „ოცნების“ აღსასრულებლად. ვისაც კი უნდა შეეკითხოთ, ყველა გეტყვით, რომ წარმატებული კარიერისაკენ გადადმული პირველი ნაბიჯი კარგი განათლებაა. თუმცა ამაში, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალურ განათლებას გულისხმობენ. უდავოა ის ფაქტი, რომ ფორმალური განათლება არა მარტო ნებისმიერი კარიერის აუცილებელი წინაპირობაა, არამედ ნებისმიერი უბრალო სამსახურისაც კი. არც ის იწვევს ეჭვს, რომ ხარისხიანი ფორმალური განათლება ზრდის პრეტენდენტის კონკურენტუნარიანობას. ალბათ ბევრი ჩვენგანი ყოფილა გასაუბრებაზე და იცის, რომ ყველაზე დიდი ყურადღება იმას (და უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორსაც წარმოადგენს) ექცევა, თუ რა სახის განათლება გაქვს მიღებული.

მაგრამ ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ადამიანის პოტენციალის განსაზღვრა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შექმნილი შეფასების სისტემის საფუძველზე? ზოგადად თუ ვიმსჯელებთ – არა. პრეტენდენტებს შორის პოტენციური დამქირავებლის მოწონებას იმსახურებს ის, ვისაც უკეთესი ფორმალური განათლება აქვს მიღებული. მაგრამ წარმატების უფრო დიდი შანსი ექნება მას, ვისაც უფრო დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, რაც არაფორმალურ განათლებასაც გულისხმობს.

განვიხილოთ არაფორმალური განათლების სახეობები და მათგან მიღებული სარგებელი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ არაფორმალური განათლება დროისა და სივრცის თვალსაზრისით, გარკვეულ ჩარჩოში არ არის მოქცეული. მთელი სამყარო ერთგვარი საკლასო ოთახია და არც მოსწავლეთა ასაკია შეზღუდული. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ისეთი აქტივობა, როგორიცაა წიგნის კითხვა.

ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯორჯ რ.რ. მარტინი ამბობს: „მკითხველი კაცი ათას სიცოცხლეს გაივლის, სანამ მოკვდება, ხოლო ის ვინც არ კითხულობს, მხოლოდ ერთს“. მართლაც, მხატვრული ლიტერატურის კითხვა მხოლოდ გართობის საშუალება არ არის. კითხვის დროს განცდილი ემოციები ზეგავლენას ახდენს ჩვენს მსოფლმხედველობაზე და დიდ როლს თამაშობს ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ჩვენი ხასიათი კი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კოლეგებთან კარგი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. განსაკუთრებით დიდი სარგებელი მოაქვს ლიტერატურას მათთვის, ვისაც პროფესიიდან გამომდინარე, კლიენტებთან უშუალო კავშირი აქვს. კლიენტურასთან ურთიერთობის მქონე პირი უნდა იყოს ქარიზმატული, ქარიზმა კი ის თვისებაა, რომელიც სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული, მისი გამომუშავება მხოლოდ კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობითაა შესაძლებელი.

არაფორმალური განათლება უფრო სასიამოვნო ხდება, როდესაც მას სხვა ადამიანებთან ერთად ეზიარები. ამ მიზნით შეიქმნა უამრავი ორგანიზაცია. საკლასო ოთახში ადამიანი საკუთარ ინდივიდუალურ წარმატებაზეა ორიენტირებული და, როგორც წესი, იშვიათად ახერხებს თანაკლასელთან საერთო მიზნისთვის გაერთიანებას. არაფორმალური განათლების სფეროში, რომელიმე მიზნის მისაღწევად, ხშირად უერთდება ჯგუფს. მას უწევს ჯგუფის წევრებთან ურთიერთობა, მათი მოსაზრებების მოსმენა, საკუთარი არგუმენტის წარდგენა და მსჯელობა იმაზე, თუ რომელი გზა უფრო ეფექტურია მიზნის მისაღწევად. ამგვარი აქტივობები ეხმარება ადამიანს განვითაროს, ზოგადად, საზოგადოებასთან და, კერძოდ, კოლეგებთან ურთიერთობის კულტურა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

არაფორმალური სწავლების კიდევ ერთი დადებითი მხარეა ის, რომ ადამიანს საშუალება აქვს აირჩიოს აქტივობა, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მის პირად ინტერესებთან. ბუნებრივია, მისთვის სასურველი და სასიამოვნო მიმართულებით მიმავალი ადამიანი უფრო მოტივირებულია და, საბოლოო ჯამში, უფრო კარგ შედეგს აღწევს. ასე მაგალითად, ვისაც პოლიტიკა აინტერესებს (და აპირებს ამ სფეროს პროფესიონალი გახდეს) შეუძლია დებატების კლუბში ან სხვა მსგავს აქტივობაში ჩაერთოს. აქ კარიერული წინსვლისთვის აუცილებელ ისეთ უნარ-ჩვევებს დაეუფლება როგორებიცაა: დამაჯერებლად საუბრის მანერა, სხეულის ენის კონტროლი და სხვ.

მათთვის, ვისაც მწერლის ამპლუაში წარმოუდგენია საკუთარი თავი, ძალიან სასარგებლო იქნება ისეთ აქტივობებში მონაწილეობა, როგორიცაა: ესეების ან მოთხრობების კონკურსი და სხვ.

არაფორმალურ განათლებას დიდი წვლილი შეაქვს ადამიანისა და მის მიერ არჩეული პროფესიული სფეროს დაახლოებაში. ზოგ შემთხვევაში, გვეხმარება გადავწყვიტოთ, რა პროფესია გვიზიდავს ყველაზე მეტად. ფორმალური სასწავლო გარემო გვაძლევს თეორიულ ცოდნას ამა თუ იმ სფეროს შესახებ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს მოსწავლეს უჩვენოს, რომელი სფერო აირჩიოს პროფესიის სახით. ამის გამო, აბიტურიენტთა ნაწილი პროფესიას სხვათა ზეგავლენის შედეგად ირჩევს და, საბოლოო ჯამში, არამოტივირებულ მოხელედ ყალიბდება. ამის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ტრადიციული სასკოლო განათლების პარალელურად, ახალგაზრდების კლასგარეშე აქტივობებში ჩართვა. ეს მათ ეხმარება: დაინახონ ამა თუ იმ სფეროს დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, დაადგინონ, რომელი სფეროა მათთვის უფრო მიმზიდველი და გაცნობიერებულად აირჩიონ მომავალი პროფესია. მსგავსი მიდგომა, რა თქმა უნდა, მათი წარმატების საწინდარი გახდება, რადგან საქმის სიყვარული და მოტივირებულობა უდიდეს ზეგავლენას ახდენს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

ასე რომ, არაფორმალური განათლება დიდ როლს თამაშობს არა მარტო ჩვენს კარიერულ წინსვლაში, არამედ ჩვენთვის ყველაზე შესაფერისი კარიერის შერჩევაშიც კი. ეს არის დაუსრულებელი პროცესი, რომელიც კვებავს ჩვენში არსებულ პიროვნებასა და პროფესიონალს და გვიბიძგებს ახალი მწვერვალების დაპყრობისაკენ.

სასკოლო აქტივობა

სიკეთე თესე, დალოცვილი იქნები

აღდგომის დღესასწაული ბედნიერებასა და სიკეთის კეთებასთან ასოცირდება, ამიტომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი კეთილი საქმე გააკეთოს და ისედაც ამაღლებული განწყობა მეტად აიმაღლოს.

თბილისის №49 საჯარო სკოლა ცნობილია ქველმოქმედებით. ჩვენ ერთხელ უკვე ვეწვიეთ გაბრიელ ბერის სახელობის მოხუცებულთა, უძლურთა და მიუსაფართა სახლს „ზეი“. ეს იდეაც (როგორც სხვა მრავალი) სკოლის დირექტორს, **ეკატერინე ცაავას** ეკუთვნის. ენერგიულ, თბილ, გულისხმიერ, სხვათა ტკივილის გულთან ახლოს მიმტანს კოლექტივი ენდობა და მის ყველა წამოწყებას მხარს უბამს. ამჯერადაც მთელმა სკოლამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ მოხუცებს დახმარებოდნენ. მაშინვე დაიწყო მზადების პროცესი. თავიდან აქცია „ერთი კარტოფილისა“ და „ერთი კანფეტის“ სახელით იყო ცნობილი და მისი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ სკოლის თითოეულ მოხალისეს ერთი კარტოფილი და ერთი კანფეტი მოეტანა, რაც, საბოლოო ჯამში, გარკვეული რაოდენობის კარტოფილსა და კანფეტებს მოაგროვებდა, რომელიც მოხუცებს გადაეცემოდათ. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – სკოლის მოსწავლეებს, მშობლებსა თუ მასწავლებლებს მოჰქონდათ სხვადასხვა სახის პროდუქტი, ბავშვები აკეთებდნენ პლაკატებს, ამზადებდნენ მუსიკალურ ნომრებს და სხვ. ეს მართლაც შესანიშნავი იყო. ვერ დავივიწყებთ მოხუცების აღფრთოვანებულ სახეებსაც, როდესაც ფერადი ბუშტებითა და უამრავი პროდუქტით დატვირთულები მათთან მივედით. ეს იყო საოცრად ამაღელვებელი და გულისამაჩუყებელი წუთები. მაშინ დავპირდით, რომ აქცია არ იქნებოდა ერთჯერადი და №49 საჯარო სკოლა კვლავ დაბრუნდებოდა.

და აი, აღდგომის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად, კვლავ გაჩნდა საქველმოქმედო აქციის ჩატარების სურვილი. სასკოლო საზოგადოება სასწრაფოდ შეიკრიბა და მოითათბირეს, როგორ უნდა დაგეგმილიყო აქცია. მოსწავლეებმა ფერად პლაკატებზე კვლავ თბილი სიტყვები და ფერადი ნახატები გამოსახეს, მოამზადეს მუსიკალური ნომრები და ნაცნობ-მეგობრებთან შესახვედრად სერიოზულად მოემზადნენ. რა თქმა უნდა, კვლავ შეგროვდა საკვები პროდუქტი და სურსათ-სანოვაგით დატვირთული მანქანები ნელ-ნელა დაიძრა დანიშნულების ადგილისაკენ.

მართლაც ამაღელვებელი იყო მოხუცებისა და ბავშვების შეხვედრა, ცრემლიანი თვალები და ღიმილიანი სახეები. მოსწავლეებმა მათ მიერ მომზადებული მცირე კონცერტი წარუდგინეს მოხუცებს და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

მეექვსეკლასელმა გოგონებმა – **ნინო რაგიმოვამ**, **ქეთი კორბესაშვილმა** და **ლანა ალხანიშვილმა** სათითაოდ მოინახულეს საწოლს მიჯაჭვული მოხუცები; მუსიკალური ნომრებით წარდგნენ ბენეფიციარების წინაშე ჩვენი სკოლის პირველკლასელები (დამრიგებელი – **მაია გელოვანი**): **თათია ბალავაძე**, **თამარ გაზდელიანი**, **გიგი თეთვაძე**, **ლიზი მეფარიშვილი**. მე-3 კლასელი და-ძმა, **თორნიკე** და **მარიამ ღიბრაძეები**, დიდი ოსტატობით უკრავდნენ დოლზე (ხელმძღვანელი – **მარინა კიკნაძე**). IV-კლასელებმა – **ნოდარ კიკაბიძემ**, **ანა კუპრავამ**, **მარიამ რაგიმოვმა**, **სალომე მარტაშვილმა**, **ნუცა გაბრიელაშვილმა**, **სოსო დავითურმა**, **მარიამ** და **ლიზი შამანაურებმა** – ქართული ცეკვებით მოხიბლეს მასპინძლები.

დამშვიდობებასაც არ ჩაუვლია ცრემლების გარეშე. დარწმუნებული ვართ, ეს დღე სამუდამოდ აღიბეჭდება 49-ე სკოლელებისა და მოხუცთა გულებში, რომელთაც კიდევ არაერთხელ გავახარებთ ჩვენი სტუმრობით.

მარიამ კვიატკოვსკაია
49-ე საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერი

სპორტი

მაგიდის ჩოგბურთი ცნობილი სახეებით

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა თბილისის 2015 წლის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. მის ჩატარებაში ფედერაციას დედაქალაქის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ეხმარებოდა.

ანალოგიური შეჯიბრება ფედერაციამ შარშანაც ჩაატარა, როცა გუნდები შერეული პრინციპით დააკომპლექტეს – მათში მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლები და მშობლებიც შედიოდნენ. წლეულს სპექტრი კიდევ უფრო გააფართოვეს და გუნდებში საზოგადოების ცნობადი სახეები, ცნობილი სპორტსმენებიც ჩართეს.

ტურნირი ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ტურს თბილისის 84-ე საჯარო სკოლამ უმასპინძლა და მასში 52 გუნდი მონაწილეობდა. იქვე გაიმართა გახსნის საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც ესწრებოდნენ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში **კახი კახიაშვილი** და ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **მანუჩარ კვირკველია**. ფინალურ თამაშებში სხვადასხვა გუნდების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი წყალბურთში **მიხეილ გიორგაძე**, ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კიკალიშვილი**, თბილისის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **გია მელაძე** და სხვები. შეჯიბრების მთავარი მსაჯი ამჯერადაც რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი **სუსანა გვილავა** იყო.

ფინალურ ეტაპს დედაქალაქის კლასიკურმა გიმნაზიამ უმასპინძლა და ის სპორტის საერთაშორისო დღეს, 6 აპრილს გაიმართა. მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება 84-ე, 90-ე, 150-ე, 161-ე, 199-ე, 207-ე, კლასიკური გიმნაზიისა და თავისუფალი ვალდორფის სკოლებმა მოიპოვეს. ამათგან ნახევარფინალში 84-ე, 90-ე, 161-ე და ვალდორფის სკოლები გავიდნენ. ფინალურ შეხვედრაში 90-ე სკოლელებმა 161-ეს გუნდი დაამარცხეს და ოქროს მედლებიც მოიპოვეს, ბრინჯაოს კი 84-ეს გუნდი დაეუფლა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ვალდორფის სკოლა დაჯაბნა. ტურნირზე დაწესებული იყო სოლიდური საპრიზო ფონდი – ნახევარფინალში გასულ ოთხივე გუნდს ჯილდოდ 100-100-ლარიანი ვაუჩერი გადაეცა წიგნების შესაძენად, რასაც სპორტული ინვენტარის შესასყიდად გამოყოფილი პრემიაც დაემატა: გამარჯვებულს – 1000 ლარი, ვერცხლის მედალოსანს – 600, ბრინჯაოს პრიზიორს – 400, მეოთხე ადგილზე გასულს კი – 200 ლარი. საპრიზო თანხა მერიამ უზრუნველყო.

ამავე ფედერაციის ინიციატივით, გრძელდება სასკოლო ლიგის გათამაშება მინი-ფეხბურთში. ამ დღეებში გაიმართა თბილისის პირველობის გათამაშების რამდენიმე შეხვედრა უმცროს ასაკში, 2002-03 წლებში დაბადებულთა შორის. 119-ე საჯარო სკოლამ 209-ე სკოლა 3:0 დაამარცხა, მერე 120-ესაც მოუგო – 4:2, მაგრამ მესამე პაექრობა 118-თან 3:6 წააგო. 118-ეს გუნდმა, ამის გარდა, კიდევ ორი შეხვედრა მოიგო – მე-16 სკოლას 4:1 აჯობა, 208-ეს – 4:2. სასკოლო ლიგის გათამაშება ჯერ ისევ გრძელდება, მაისში ფინალური ეტაპის პაექრობები დაიწყება.

ასევე გრძელდება ფუტზალის პირველობა, რომელსაც ისევ ეს ფედერაცია ატარებს. მიმდინარეობს შეჯიბრებები რეგიონებში და გამოვლინდება 32 გუნდი, რომლებიც მაისში, პლეი ოფის სისტემით, ფინალურ ტურს დაიწყებენ თბილისში.

ოლიმპიადის გამარჯვებულები ახალციხიდან

ქვეყნის რეგიონებში გრძელდება სასკოლო ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები. შეგახსენებთ, რომ ამ ღონისძიებას საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაცია ატარებს. ის ქვეყნის 11 რეგიონის მთავარ ქალაქებში იმართება და ტარდება სპორტის 4 სახეობაში: კალათბურთი, მინი-ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და მძლეოსნობა. პირველ ეტაპზე იმართება რეგიონული პირველობები, მისი გამარჯვებულები კი ივნისში, ანაკლიაში, ფინალურ ეტაპზე გამოვლენ.

ქუთაისში გამოვლინდნენ ფინალისტები მინი-ფეხბურთში: 36-ე და 38-ე საჯარო სკოლების გუნდები. გადამწყვეტი შეხვედრა „ქუთაისობაზე“, 2 მაისს გაიმართება იქაურ სპორტის სასახლეში. სამაგიეროდ, ახალციხელებმა უკვე გამოავლინეს მინი-ფეხბურთის მედალოსნები. ჩემპიონობა პირველი საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც ფინალურ პაექრობაში მეხუთე სკოლას აჯობა. სამაგიეროდ, დამარცხებულმა სკოლამ მაგიდის ჩოგბურთში იმარჯვა – გოგონებშიც და ბიჭებშიც მისი მოსწავლეები, **ლიკა კაველიძე** და **გიორგი ბერიძე**, გახდნენ ჩემპიონები. ანაკლიის საგზურებიც მათ მოიპოვეს.

კალათბურთელები ბრაშოვში

საქართველოს 16-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრებმა ლატვიიდან, სადაც 4 სპარინგ-მატჩიდან 3 მოიგეს, რუმინეთში გადაინაცვლა მორიგ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. ეს შეჯიბრება სამთო კურორტ ბრაშოვში ტარდება, მასში კი რუმინეთის, თურქეთისა და ბულგარეთის გუნდებიც მონაწილეობენ. შეჯიბრება განსხვავებული სისტემით იმართება – პირველ ეტაპზე ყველა ყველას ხვდება, მე-

რე კი პლეი ოფის პრინციპით გაგრძელდება.

პირველ ეტაპზე ჩვენმა კალათბურთელებმა თურქებთან დათმეს პირველი შეხვედრა – 46:57. არადა, მესამე მეოთხედის შემდეგ 38:36-ს იგებდნენ, მაგრამ მეოთხე პერიოდი 8:21 დათმეს. ჩვენებმა მეორე პაექრობა ბევრად უკეთ ჩაატარეს ბულგარელებთან და 23 ქულით მოუგეს – 64:41, თუმცა ის რანგით თურქეთზე სუსტია. მაინცდამაინც ძლიერი არც რუმინეთია, რომელსაც ქართველებმა მესამე პაექრობაში აჯობეს – 58:50.

ნახევარფინალშიც ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და რუმინელებმა რევანში აიღეს – 66:79. სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის პაექრობაში იყოჩაღეს და თურქებს 53:40 აჯობეს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**

ისტორიის მიღმა

ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

** წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

9 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ გარითლწერაში

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 *(42X59.4 სმ)*

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 *(59.4X84.1 სმ)*

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით ალმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბალი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

„ბედად ქცეული საქართველოს“ ფერწერული მემატიანე

„გერმანია ჩემი სამშობლოა, საქართველო კი ბედია“ – ეს სიტყვები თანამედროვე გერმანელ მხატვარს, **ვერნერ რუდიგერს** ეკუთვნის, რომელიც საქართველოს ისტორიულ ძეგლებს ფერწერული ნამუშევრების მთელ ციკლს უძღვნის. მხატვარი მიუნხენში ცხოვრობს, ძალიან ბევრს მოგზაურობს და შთაბეჭდილებებს ტილოზე ტოვებს. საქართველოში პირველად გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ჩამოდის. *„იმდენად მომხიბლა ბუნებამ, ქართულმა ტაძრებმა და ადამიანებმა, რომ პირველად მონახულების შემდეგ, თითქმის, ყოველწლიურად ჩამოვდიოდი. ისტორიულ საქართველოში კი, ბოლოს, 2004 წელს ვიმოგზაურე. ვაკეთებდი ჩანახატებს, ესკიზებს, ვიღებდი ფოტომასალას. მუშაობა დღესაც გრძელდება. ვფიქრობ, ეს დიდი საქმეა მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით კი, საქართველოსთვის“.* ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობა მხატვრის შთაგონების მთავარ წყაროდაც იქცა და, წლების წინ, ტაო-კლარჯეთში მდებარე უნიკალური ძეგლების, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებები ტილოზე გადაიტანა. მხატვრის ნამუშევრები ახლა ხელოვნების სასახლეშია. მისი ყოველი გამოფენა ქართველ დამთვალიერებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ექსპოზიცია, რომელიც ახლახან ხელოვნების სასახლეში გაიხსნა, 40-მდე ნახატს აერთიანებს.

ვერნერ რუდიგერი გახლავთ უნიკალური მოგზაური, მეცნიერი და მხატვარი, რომელიც დაინტერესდა საქართველოს ისტორიული ძეგლებით როგორც მის საზღვრებში არსებული, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მხატვარმა ფეხით მოიარა თურქეთში ქართული კულტურის ძეგლები, ჩახატა, ფოტოზე ასახა და ამ ისტორიული ძეგლების საოცარი კოლექცია შექმნა. საკმაოდ დიდხანს მუშაობდა, 4 წელი გაატარა თურქეთში – აკვირდებოდა და ხატავდა ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებს, თან, რაც მთავარია, გამიზნულად პარაფინის აკვარელით ხატავდა, რათა ტილოები მალე არ დაზიანებულიყო. მთლიანობაში 200-მდე ტილო შექმნა. შემდეგ, 90-იან წლებში, საჩუქრად საქართველოს გადასცა, თუმცა ჩვენს ქვეყანაში არსებულმა მძიმე მოვლენებმა ეს კოლექცია დაღუპვის პირას მიიყვანა. მხატვრის ამაგი განსაკუთრებული აღმოჩნდა ისტორიული საქართველოს კულტურული ძეგლების ვიზუალიზაციის თვალსაზრისით, რადგანაც ნამუშევრები იმდროინდელი ძეგლების შესახებ ისეთ ინფორმაციას ინახავს, რომლის აღდგენაც დღესდღეობით შეუძლებელია.

გასულ წელს, თბილისის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის დაფინანსებით, საქართველოს ხელოვნების სასახლემ ალბომი „ფერადი საქართველო“ გამოსცა, რომელშიც პირველად დაიბეჭდა გერმანელი მხატვრის მიერ შექმნილი ტილოების სრული კოლექცია.

„ფერადი საქართველო“ შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს – უმეტესობა გრაფიკული ნამუშევარია და, ძირითადად, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ძეგლებს ასახავს. ფერწერული ტილოები კი, სამხრეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებასთან ერთად, ეძღვნება სვეტიცხოვლის, ბაგრატის, ალავერდის კათედრალებს, თბილისის ხედებს.

ქართულ კულტურას მხატვარმა, მოგზაურმა და მკვლევარმა ვერნერ რუდიგერმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო, XX საუკუნის 70-80-იან წლებში, ქართველი მეცნიერებისათვის მაშინ მიუწვდომელი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, საოცარი რუდუნებით არა მხოლოდ ჩაიხატა, არამედ ფოტო და კინოფირზე აღბეჭდა. უნიკალურ ფერწერულ თუ გრაფიკულ ნამუშევრებს, მხატვრულთან ერთად, ამიტომაც აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. რუდიგერის მიერ ტილოზე გადმოტანილი ისტორიული ძეგლების უმეტესობამ, როგორც აღვნიშნეთ, ჟამთა სიავის გამო, სახე იცვალა, ბევრი ჩუქურთმა, არქიტექტურული დეტალი თუ ორნამენტი სამუდამოდ დაიკარგა. ხელოვნების მუზეუმის საექსპოზიციო განყოფილების ხელმძღვანელის **ლელო ჭიჭინაძის** შეფასებით: *„ფასდაუდებელია რუდიგერის ღვაწლი ქართული კულტურისა და ისტორიისათვის, რადგანაც მის ნახატებზე აღბეჭდილი ძეგლების ნაწილი განადგურებული ან დაზიანებულია. სამწუხაროდ, ზოგიერთი ძეგლი დღეს საერთოდ აღარ არსებობს, მაგალითად, მხოლოდ მის ტილოზე შემორჩა „თამარის ხიდი.“*

რუდიგერის ქართულ კოლექციას რთული თავგადასავალი ჰქონდა. ეს დიდი ეროვნული საგანძური გერმანელმა მხატვარმა, სრულიად უსასყიდლოდ, საქართველოს სახელმწიფოს უსახსოვრა, რამდენიმე წელი ნამუშევრები სურათების ეროვნული გალერეის მიწისქვეშა საცავში ინახებოდა, თუმცა XX საუკუნის 90-იან წლებში, თბილისში შექმნილმა მძიმე ვითარებამ კოლექცია განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა. ნახატების გადარჩენის მიზნით, ავტორმა ტილოები საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გადაიტანა, თუმცა არც ეს ადგილი აღმოჩნდა შესაბამისი, ამიტომ 2009 წელს ნამუშევრები თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს მიაბარა. დღეს ვერნერ რუდიგერის ყველა ნამუშევარი, ოფიციალურად, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია და სამუზეუმო საგანძურს წარმოადგენს.

ქართველი ფოტოგრაფი **კუკური მეტრეველი**, რომელმაც ჯავახეთის მხარეში იმუშავა და შესანიშნავ ფოტომასალას მოუყარა თავი, ერთი საინტერესო ნაცნობობის შესახებ წერს: *„ამ დღეებში, ჩვენთვის უკვე ახლობელ ხელოვნების სასახლეში, ერთი არაჩვეულებრივი ადამიანი გავიცანი – გერმანელი მხატვარი, ბატონი ვერნერ რუდიგერი, რომელიც უკვე, თითქმის მესამედ საუკუნეზე მეტია, ფეხით მოგზაურობს ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და მაშინ ჩვენთვის სრულიად მიუწვდომელ, თურქეთის ტერიტორიის აღმოსავლეთში და ხატავს იქ დარჩენილ ქართული კულტურის ძეგლებს. როგორც თვითონ აღნიშნავს: „დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ნაკვალევზე დადის“ და დიდი რისკის და ჯაფის ფასად, თურქული ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ, ზოგჯერ მათგან მალულად, აფიქსირებს ჩვენი ძეგლების მდგომარეობას. მაშინ არა თუ რიგით მოქალაქეებს, არამედ ჩვენს მეცნიერებსაც კი არ შეეძლოთ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე შეღწევა და ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა-დაფიქსირება. იმ დროისათვის ბატონი ვერნერის ფოტოები და გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრები იყო ერთადერთი უტყუარი წყარო ჩვენი იქ არსებული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ. ბატონი რუდიგერი ამაყობს ბატონ ვახტანგ ბერიძესთან მეგობრობით. მასთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდა და მოძიებულ მასალას უპირველესად მას უზიარებდა. ბევრი მოსაზრებით, ბატონი ვერნერის შრომა და ღვაწლი ფასდაუდებელია საქართველოს წინაშე. ვფიქრობთ, უნდა დავუფასოთ ქართული კულტურის უდიდეს და უანგარო მეგობარს ასეთი ღვაწლი და, რაც შეიძლება, მეტმა ქართველმა ვნახოთ მისი პერსონალური გამოფენები.“*

რაც შეეხება ხელოვნების სასახლეში გახსნილ ექპოზიციას, მან კიდევ ერთხელ შეახსენა ქართველ დამთვალიერებელს გერმანელი მხატვრის „ბედად ქცეული საქართველო“ და ხაზი გაუსვა მისი ნამუშევრების მნიშვნელობას.

მოგზაურ-ხელოვანისთვის, რომელსაც მსოფლიო აქვს მოვლილი, საქართველო მაინც გამორჩეულ ქვეყანათა ნუსხაში რჩება; ისტორიული ხუროთმოძღვრების მემატიანეთა შორის კი მხატვარი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, რადგანაც ჩვენთვის ხელმიუწვდომელი. რეალურად ფერწერითა და გრაფიკით, ხელმისაწვდომი გახადა, მეტიც, ხელოვნების სასახლე მის მესაკუთრედ და მცველად აქცია.

ლალი ჯელაძე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK